თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №467835

ნომერი: AR195594

თარიღი : 30.11.2012

გაცემის თარიღი : 11.12.2012

გაცნობის თარიღი : 11.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი II , კორპუსი 11ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორ ლაშხი პ/ნ 01009008435
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 33 ბ. 48

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 30 ნოემბერს № AR195594 განცხადებით მომართა მოქალაქე ვიქტორ ლაშხმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ვაჟა–ფშაველას გამზ. მე–2 კვარტალში, კორპ. №11ბ, ამხანაგობა ,,ვაჟა–ფშაველას 11ბ"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №024/005)–ში, მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 05 ოქტომბრიდან 2013 წლის 05 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, მათ მიერ ატვირთულ სართულის გეგმების PDF ფაილში ავტოსადგომის სართულის გეგმის საერთო ფართი შეცდომით იყო მითითებული 977,1 მ2, როდესაც უნდა ყოფილიყო 947,8 მ 2. შესაბამისად წარმოდგენილი იქნა შესწორებული გეგმა 2.70 ნიშნულზე. გარდა ამისა, საზაფხულო ფართი და შეუბოლავი კიბის უჯრედის აივნის ფართი ერთად იქნა დაანგარიშებული შეცდომით, კერძოდ: საზაფხულო ფართი1755,6 მ2-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 1772,2 მ 2. აღნიშნული ხარვეზი იწვევს საერთო ფართის ცვლილებას და 12998,1 მ 2-ის ნაცვლად შეადგინა 13014,7 მ2. მოცემული ფართის გაზრდა არ იწვევს კ2 კოეფიციენტის ცვლილებას, რადგან საზაფხულო ფართი არ შედის კ2 - ის საანგარიშო ფართში.

გარდა ამისა, მათ მიერ ერთად იყო დაანგარიშებული საზაფხულო ფართი და შეუბოლავი კიბის უჯრედის აივნის ფართი და ითხოვენ აღნიშნული ფართების გამიჯვნას. რის შემდეგაც საზაფხულო ფართი შეადგინს 1625,2 მ 2-ს, ხოლო შეუბოლავი კიბის უჯრედი აივნის ფართი 147,0 მ 2 დაემატა კიბის უჯრედის ფართს და წარმოადგენს 1284,4 მ 2-ს.

სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა მოთხოვნის საფუძვლიანობა საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში და დაადგინა, რომ შესაძლებელია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2425.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 833.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 47.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1625.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1284.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 390.8
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 947.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 50.1
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1077.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 13014.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 8323.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 33160.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 32769.6

2. სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დამატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2.70 ნიშნულის გეგმა;

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 05 ოქტომბრის №379859 ბრძანებასთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge